საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

საკონკურსო

განცხადება და დოკუმენტაცია

კონკურსის მეშვეობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრის ინტერიერის დეტალიზებული დიზაინის პროექტის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია შედგენილია
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და
„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის
დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის
2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2012 წელი

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრის ინტერიერის დეტალიზებული დიზაინის საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სახარჯთაღრიცხვო და საბოლოო სახის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

<u>შენიშვნა:</u>

კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ტექნიკური დავალების მხოლოდ 1-დან 10 პუნქტის ჩათვლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი დოკუმენტაცია (სახარჯთაღრიცხვო და საბოლოო სახის საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე).

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 7 მაისს 12:00 საათზე.
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 8 მაისს 15:00 საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 8 მაისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) მეორე სართული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

14. კონკურსანტის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) საკონკურსო წინადადების ფასს - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

ბ) ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილებას (წარმოდგენილი უნდა იქნას არანაკლებ 5 (ხუთი) ანალოგიური მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია);

გ) რეკვიზიტებს - კონკურსანტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი.

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებისა და მათი შესაბამისი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმები	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარისხი	0,6
2	კონკურსანტის გამოცდილება	0,3
3	საკონკურსო წინადადების ღირებულება (ფასი)	0,1
		სულ: 1,0

შენიშვნა:

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდება (სახარჯთაღრიცხვო და საბოლოო სახის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

19. წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას (3 ეგზემპლარი) თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

21. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატის შემდეგი საკონტაქტო პირისგან: მადონა ბერიაშვილი, ტელეფონი (995-32) 292-11-89.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტია თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრის ინტერიერის ზოგადი დიზაინ-პროექტის (იხილეთ დანართი) საფუძველზე აღნიშნული შენობის ინტერიერის დეტალიზებული დიზაინის პროექტის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

1. ინტერიერის დიზაინ-პროექტში გათვალისწინებული ავეჯის დეტალური ნახაზები, მასალების მითითებით.
2. ინტერიერის დიზაინ-პროექტში გათვალისწინებული ტექნიკის, კერძოდ: მონიტორები, მორბენალი სტრიქონი, პროექტორი თავის ეკრანით. დეტალური აღწერილობა და ტექნიკური მახასიათებლები.
3. შიდა მოპირკეთება(კედლებზე მდფ-ით შეფუთვა, შიდა განათებების გათვალისწინებით, ჭერზე და კერძოდ კოლონების თავზე დიზაინით გათვალისწინებული თაბაშირ-მუყაოს სხვადასხვა ფორმები) დეტალური აღწერილობა.
4. თეჯირები-დიზაინით გათვალისწინებული ზონების გამყოფი თეთრი პრიალა მდფ-ის, თავის მინებით და განათებებით, დეტალური აღწერილობა.
5. რბილი იატაკი (ბავშვთა ზონა, საკონფერენციო დარბაზი), დეტალური აღწერილობა.
6. სანათები-ინტერიერის დიზაინ-პროექტში გათვალისწინებული დამატებითი დეკორატიული სანათები.
7. ზონირების წარწერები, გარეთა წარწერა თავის ლოგოთი, შესაბამისად შედგეს დიზაინ პროექტი და დამუშავდეს დამკვეთთან შეთანხმებით.
8. დეკორაციის, კერძოდ: ქოთნები და გამწვანებები, დეტალური აღწერილობა.
9. განხილულ იქნას ინტერიერის დიზაინ-პროექტში გათვალისწინებული ყველა ელემენტი (გარდა იატაკზე კერამო გრანიტი, შიდა ვიტრაჟები და ჭერზე თაბაშირ-მუყაო, (გარდა ლითონის კონსტრუქციის მქონე ფერმებზე დაკიდებული თაბაშირ-მუყაოს ფორმების და სანათების - ეს უკანასკნელი უნდა შევიდეს დამატებით ნახაზებშიც და განფასებაში).
10. გარეთა სანათების, გარეთა სკამების დეტალური აღწერილობა.
11. ზემოთხსენებული პუნქტების მიხედვით უნდა განხორციელდეს სახარჯთაღრიცხვო და საბოლოო სახის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
12. აღნიშნულ ინტერიერის დიზაინ-პროექტს კონკურსში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ უნდა გაეწიოს საავტორო ზედამხედველობა, მისი შემდგომი განხორციელების პროცესში.
13. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.
14. საჭიროების შემთხვევაში პროექტის გარკვეული დეტალები შეიძლება განისაზღვროს შემსყიდველთან შეთანხმებით.

(პროექტი)

4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 2012 წელი

ხელშეკრულება N

წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება შეიძლება განხორციელდეს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადების პროცესში.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”), მისი თავმჯდომარის, დიმიტრი გეგელიას სახით და მეორეს მხრივ, ———————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), მისი ხელმძღვანელის, ———————————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და კონკურსანტის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი ---------- სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი -------- (--------) **ლარად.** (შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”)

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ტექნიკური დავალება;

გ) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საკონკურსო წინადადებაზე თანდართული ყველა სხვა საჭირო დოკუმენტი;

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. **კონკურსის მეშვეობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრის ინტერიერის დეტალიზებული დიზაინის პროექტის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა.**

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ———————— **ლარს.**

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

7.2. გადახდის ფორმა - უნაღდო

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღეში. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი;

8. ფასები

8.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

8.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მხარეთა ურთიერთობა

10.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. გადასახადები და ბაჟები

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და **ძალაშია** ---------- **-მდე.**

14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი